№ 199 სექტემბერი 25, პარასკევი | 1887 | სექტემბერი 25, პარასკევი № 199

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის სტამბის, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი | საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877—1887 წელიწადი

კნეინა ნინა ხირიფსის ასული შერვაშიძისა, მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, მარიამ ალექსანდრეს ასული მეჰელიოვისა, კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული წულუკიძისა და თ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—ასულისა თვისისა, მეორე—მეუღლისა და დანარჩენნი—დისა თვისისა, ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყიფიანისას, ქალაქ სემიპალატინსკს და მოსვენებასა ცხედრისასა ამ თთვის 23-ს სოფელს ქვიშხეთში, სადაც მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ 25 სექტემბერს. ქირისუფალნი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ ზემოხსენებულს სოფელში განსვენებულის დასაფლავებაზე დასასწრებლად.

თუმცა დასაფლავება 20 სექტემბრისათვის იყო დანიშნული, მაგრამ რკინის გზის გაფუჭების გამო დაგვიანდა. (2—2)

ტფილისი, 24 სექტემბერი

ერთი ჩვენი წერილი იმით დავასრულეთ, რომ ვურჩიეთ ჩვენს საზოგადოებას ჯეროვანი ყურადღება ეთხოვებინა ქალების განათლებისათვის. ჩვენ ვამბობდით, რომ საჭიროა ხარჯსა და მეცადინეობას არ შევუშინდეთ ამ წმინდა საქმის ფეხზე დასაყენებლად, რადგანაც ეხლანდელნი სასწავლებელნი ვერ აკმაყოფილებენ ამ ჩვენს საჭიროებას. მართლადაც, თუ ასე არ მოვიქეცით და ჩვენის ქალების აღზრდა და სწავლა რიგიანად არ მოვაწყეთ, არც რიგიანი ახალი თაობა გვეყოლება, ჩვენებური ოჯახიც უფერული და უსაგნო დარჩება; ჩვენი ნივთიერი ყოფა ცხოვრება იმატებს-კი არა, არამედ თან-და-თან კლებაში შევა. სწორედ ამიტომაც საჭიროა ისეთი სკოლები ვიქონიოთ, სადაც ჩვენი ქალები რიგიანად იზრდებოდნენ, შესაფერს სწავლა-ცოდნას იძენდნენ და შემდეგ ოჯახობისა და ცხოვრების სარბიელზე გამოდიოდნენ, მძიმე უღელის სატარებლად მომზადებულნი და არა უგზო-უკვლოდ სათვართვაშოდ გაწვრთნილნი... აი, ამისათვის საჭიროა საკუთარს თვითმოქმედებასაც მივმართოთ, საკუთარი ღონისძიება ვამოქმედოთ და ჩვენგან მივიწყებული საგანი ფეხზე დავაყენოთ. დღემდის-კი ქალებს ისე ვუყურებთ, თითქო იგინი ცხოვრებაში სრულიად უმნიშვნელონი არიან, თითქო რაიმე სათამაშო, მხოლოდ სახლის დამამშვენებელი და კაცთა მაამებელი რამ ნივთნი არიან და სხვა არაფერი. ეს გარემოება-კი მეტად საყურადღებოა თავისის უგვანობის გამო, და აი რისთვის.

მთელის კაცობრიობისა და ცალკე საზოგადოებათა ცხოვრება, ისტორია, იმას გვასწავლის და გვეუბნება, რომ ქალი ბურჯია ადამიანთა ცხოვრებისა, აღმზრდელია ახალის თაობისა, და არა მარტო ლამაზი, სათამაშო სამკაული. იგივე ცხოვრება, ისტორია გვასწავლის, რომ ოჯახი უპირველესი, უძველესი და უმტკიცესი საძირკველია ადამიანთა ერთობისა, რომ იგი დვრიტაა ყოველის საზოგადო კავშირისა, რომ მასზედ აგებულია მთელი შენობა ადამიანთა ცხოვრებისა... აქედგან განსაჯეთ, თუ რაოდენად სამწუხაროა, როცა ოჯახს ღირსის წევრთა უმეცრება, მათ შორის ცუდი განწყობილება და სხვანი ამ გვარნი... ყოველსავე ამას მოძღვრობს ისტორია, ადამიანთა ცხოვრება, მაგრამ ადამიანი დღემდის ისე ირჯება, თითქო ისტორია სრულიად წინაამღმდეგს ასწავლიდეს, თითქო ისტორია იმას ეუბნებოდეს, რომ ოჯახი, ქალი, სრულიად უმნიშვნელოა, ისეთი რამეა, რაზედაც არა ღირს კაცმა იზრუნოს, იდარდოს და ინაღვლოს; პირ-იქით, ქალი ისეთ რამედ მიაჩნიათ, რაშიაც ვითომ-და მოთავსებული იყოს უზრუნველობა, უდარდელობა და სხვა. სამწუხარო ის არის, რომ ამ გვარის შეხედულობისაა სწავლა-განათლებას მოკლებული კი არა, არამედ ის ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, რომელსაც განათლებულ ნაწილად სთვლიან... ეს-კი იმის ნიშანია, რომ ეგრედ-წოდებული განათლებული საზოგადოება ნამდვილის სწავლა-განათლებით-კი არ არის აღჭურვილი, არამედ იმისი სული და გული გამსჭვალულია ყალბის აზრებითა და გრძნობებითა...

ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად სანატრელი და სასიამოვნო იქმნება, როდესაც მთელს ნახევარს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას საშუალება მიეცემა თვისი გრძნობა-გონება ავარჯიშოს სწავლა-მეცნიერებაზე, გაამდიდროს შესაფერის სწავლა-ცოდნითა და ცხოვრებაში გამოვიდეს ადამიანურ მოვალეობათა მცოდნე. წარმოიდგინეთ რიგიანად მოწყობილი დედათა სასწავლებლები, საიდამაც ყოველ წლივ გამოდის ოციოდე რიგიანად მომზადებული ყმაწვილი-ქალი, წარმოიდგინეთ ეს ქალები ოჯახში, და სხვა რომელისამე კეთილის საქმის მიმდევარნი და თქვენ ადვილად შეიგნებთ, მიხვდებით, თუ რაოდენს ნათელს, აზრს და კეთილს გრძნობას მოჰფენენ ისინი ოჯახსა და ყოველს სხვა საქმესაც, რომელსაც ხელს მოჰკიდებენ. ადვილად წარმოიდგენთ, რომ ოჯახი და ყმაწვილები კარგად მოვლილნი იქმნებიან, ყმაწვილ-კაცობა რიგიანად აღიზრდება და სხვ. ერთის სიტყვით, წარმოიდგინეთ ისა, თუ რა შეეძინება ოჯახს, როცა მთელი ნახევარი საზოგადოებისა სწავლა-ცოდნით აღიჭურვება, როცა საზოგადოებას ამოდენი მცოდნე და მხნე მუშაკი შეემატება...

ყველა დაგვეთანხმება, რომ კარგად აღზრდილი ქალები შეიძლებენ სამზღვარი დაუდონ, ბოლო მოუღონ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის თავ-გასულობას, უაზრობას და უსაგნობას. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ჩვენს ოჯახებს რიგიანი ქალები რომ ჰყავდეთ, მაშინ ჩვენი სოფლელი ყმაწვილ-კაცობა, რომელიც დღეს სმა-ჭამისა და ლოთობის მეტს არაფერს არ აკეთებს და ხშირად ავ-კაცობასაც სჩადის, უფრო რიგიანს ცხოვრებას მიეცემოდა. დღეს-კი ჩვენი დედები და დები იმ ყმაწვილ-კაცობას ხელს უწყობენ და თვითონაც უსაქმურად, უზრუნველად ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს, ისე რომ იმ ყმაწვილ-კაცობასთან ერთად საზოგადოებისათვის მეტ ბარგად შექმნილან... აბა, მართლა, მიმოიარეთ ჩვენი დაბა-სოფლები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ქალები თავიანთ დროს და მოცალეობას არარაობას ანდომებენ, უაზროდ, უსაქმოდ დროს გასატარებლად, ჩაცმა-დახურვისათვის, გალობა სიმღერისა და ცეკვისათვის არ ზოგავენ არც თავიანთ ოჯახის სიმდიდრეს, არც თავიანთ შვილების მერმისსა... ერთის სიტყვით, თუ ოდესმე ქართველი ქალი განთქმული იყო ყოველ გვარის სათნოებით და სიკეთით, თუ ჩვენს ძველთა სამართლიანად თავი მოსწონდათ იმითი, რომ რიგიანი დედები და ცოლები ჰყვანდათ, დღეს-კი თითქმის ყველანი, ვისაც ნამდვილი აზრი და გრძნობა შეგვრჩენია, სირცხვილით უნდა შევყურებდეთ იმ ჩვენს ქალებს, რომლებიც ვერ ასრულებენ რიგიანად ვერც ერთს მოვალეობას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე.

აბა, რა უნდა ითქვას იმ ქალებზე, რომლებიც მისცემიან უზრუნველობას, უსაქმურობას, რა თვალით უნდა ვუყუროთ იმ ქალებს, რომლების აზრით ვაჟკაციც ის არის და თავზე ქუდიც იმასა ჰხურავს, ვინც

# ფელეტონი

## რამე-რუმე

(წვრილ-წვრილი ამბები)

ერთს ჭირში არა ვარ ამ ოხერ „რამე-რუმესაგან“ და ორს ჭირში; ლამის ცეცხლზე ნავთი დამისხას, მაგრამ, ეს ოხერი, კიდევ სულმა წამძლია, კალამს ხელი მოვკიდე და მინდა „ჩავარამე-რუმეო“, თუ ეშმაკმა ფეხი არ გამამდო კიდევა. ეჰ, რა გაეწყობა, მეფელეტონეს, და მერე ისიც დაბა-სოფლის მეფელეტონეს, გარს მუდამ მავნე სულები ახვევია, ჯვარი-კი აქაურობასა,--მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეია. ისეთი დრო შეგვექმნა, ცხვირს რომ დაგაცემინოს, საწყენად რჩება შენს მეზობელს, ჩემი გამოჯავრებული აცემინებსო.

მახსოვს, ჩემს პატარაობაში ჩვენს სოფელში მესაცრე თათრებმა ერთხელ ბებერი მაიმუნი მოიყვანეს; კარის-კარს დაჰყვანდათ და ხალხს აჩვენებდნენ. ის წყეული საშინელი ბაიყუში რამ იყო; ბავშვები გარს შემოეხვივენით და „ჰაი მაიმუნ გელდის“ ვუძახდით. წყეული მაიმუნი გადაგვეკიდა და რაწამს დაგვინახავდა, მაშინვე ჯოხს დაგვიტურტურებდა, იმ ჯოხს, რომელზედაც პატრონი—თათარი გადასვამდა ხოლმე და ცხენობანას ათამაშებდა. ჩვენთვის რომ გაგვეცინა, ის თავის თავზედ კისრულობდა, გამოგვეკიდებოდა ხოლმე და ერთს ფოციაკალს შეგვაყენებინებდა. ჩვენი ზოგიერთა მკითხველთაგანიც,—უკაცრავად-კი არ ეიყო და,—იმ მაიმუნს გვაგონებს. პეტრეზე რომ ლაპარაკობდე, პავლე ჯავრითა სკდება, მე რას მემართლებითო; როცა პავლეზე ლაპარაკობ, პეტრე სულ იხოჭიგლიჯება: დამაცადეთ, თქვე ასეთ-ისეთებოვო! ახა ვაგლახთა!

— ბატონო პეტრე და პავლე, ეუბნებით, წყრომას რად ნებულობთ, თქვენ ვინ რას მოგახსენებთ; ღმერთი, რჯული, სალავათი, ამან, იმან, რომ თქვენ არც-კი მოგვგონებიხართ.

„ბატონო, ჩხიკვი მოკვდაო“, შესჩივლეს ბატონსა.—მე დაბადებაც არ გამიგიაო, მიუგო ბატონმა. ამისი არ იყოს. შენ იმ ვილაც პეტრესი და პავლესი დაბადებაც არ გაგიგია, არ იცი, არსებობენ ქვეყანაზე თუ არა და მოგდევგიან, მე რა შენი ხელ-წამოსაკრავი ვიყავიო. მაგრამ ამისთანა პეტრე-პავლეებს რომ ხანდისხან ყურს წაათლიდნენ ხოლმე ერთის ფაშის ხუმარასავით, ძალიან კარგი იქნება.

იქნება, მკითხველო, ამ ფაშის ხუმარას ამბავი არ იცი? ეს ამბავი ზღაპრად აქვს ნაამბობი გამოჩენილს მეარაკეს ლაბულესა. აღმოსავლეთში დიდ-კაცებს ჩვეულებად ჰქონდათ და აქვთ კიდევაც, რომ სასახლეში ჰყავდათ მახინჯები, რომლებიც იმანჭებოდნენ, იგრიხებოდნენ და ბატონს ამითი ამხიარულებდნენ, ჰყავდათ მუნჯები, მანჭია, უსახური ოხუნჯები, რომლებიც სადილთ უკან და საზოგადოდ კარგად ლაზათიანის ჩალაგების შემდეგ, მცონარე ბატონებს აცინებდნენ, ახარხარებდნენ, რომ მათი ალორებული მუცელი დაეფუქნათ, რათა ხელ-მეორედ ჩაელაგებინათ სხვა-დასხვა ხორაგი. აი ერთს ფაშას ჰყავდა უმსგავსი მასხარა, საშინელი მანჭია და უსახური. მივიდა ერთხელ სადალაქოში; ოსტატი შინ არ იყო; დახვდა სადალაქოში ერთი ჩოკლაკი შეგირდი, ნაფაშავარი ალია, რომელიც ერთობ უგლაგარჯი ხელის პატრონი იყო და ბამბის თესვის მეტს არას აკეთებდა მუშტრის ყბებზედა. ფაშის ხუმარას ერთი ორგან დააკრა ბამბა, ის ისე საშინლად დაილრიჯა, რომ ალიამ სიცილი ველარ დაიმაგრა და ტაშტი ხელიდამ გავარდა. მასხარას ძალიან ეწყინა და თანაც გულში იამა, რომ ამისმა ღრეჭამ ალიას ტაშტი დააგდებინა ხელიდამა. მესამედ რომ წაჰკორტნა, მასხარა ისე საშინლად დაილრიჯა, რომ ალიამ უცბად სამართებელი გვერდზე წაჰკრა და ნახევარ ყური-კი წაათალა შენს ფაშის მასხარასა.

დიაღ! მე ვამბობ და კიდეცვალ ვამტკიცებ, რომ ხანდისხან ყურის წათლა კარგია, უფრო გაფრთხილდება ყურწათლილი და უალაგო-ალაგას მანჭვა-გრეხას არ დაიწყებს. თორემ, ღმერთმანი, უამისოდ საქმე გაჭირდა. ბატონო, გორიდამ რომ დასწერო რამე, ხონელი გამოგედავება—ჩემზეაო. ხონიდამ რომ დასწერო, გორელი სულ გაიბდღვნება—ეეე, ბატონო, ჩემზე რაები მოუჩმახავთო. მართალია, გორსა და ხონში დიდი გარჩევა არა არისრა; მართალია, ნათქვამია, რომ ღმერთმა ქართლში გორი ამოაგდოსო. და იმერეთში ხონიო, მაგრამ მაინც რად უნდა ფიქრობდნენ ასრე უკუღმა: გორელზე რომ ვსწერდე, ხონელს რად ჰქონავს და! აი ეს არის ხათაბალა!!. ეჰ, მახლას, ბევრი მავნე ახვევია თავს საწყალს დაბა-სოფლის მეთვალ-ყურესა, ბევრი!! იმას ხალხის ერთგულებასა და სიყვარულში ამოსდის სული და ხალხს კიდევ იმის მტრობაში. ამაზეა სწორედ აი ნათქვამი ხალხური ლექსი:

როსტომ სთქვა: ერთი ქართული
ხინჯის ქვაზედა სწერია,—
ვისიც მე ვიყავ ერთგული,
ის უფრო ჩემი მტერია!..

**

რახან გორზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, მაშ ორიოდე სიტყვა კიდევა ვსთქვათ გორელებზე. მაგრამ რა მოგახსენოთ, მკითხველო, ამ ჭორის ბუდე ქალაქზე!? მოგეხსენებათ, რომ გორში დიდი ხანია, რაც თვით-მმართველობა არსებობს, მაგრამ საშინელი უთაობა გახლავთ. სამმართველო და უთავოდ, აბა თქვენგან არ მიკვირს, რის მაქნისია, ერთ მანყულად არ ვიყიდი. ისე არა აქვს გორს თავი. როგორც რა ვსთქვა, როგორც ლოკოკინას... მაგრამ ლოკოკინას თავიცა აქვს და რქებიცა. ისე არა აქვს თავი... მმ... როგორც... როგორც... მაგრამ თავი ვის არა აქვს, ყველას,

მომეტებულად ლოთობს, მომეტებულს ხარჯს ეწევა მათდა საამებლად. თუ არ გინახავთ, გაგონებით მაინც გაიგონებდით, რომ ბევრი ყმაწვილი ქალები დიდის პატივისცემით და სიყვარულით ეკიდებიან იმ „გმირებს", რომლებიც ლოთობის დროს ვისმეს შეურაცხ-ყოფას მიაყენებენ ხოლმე, ერთი-ერთმანერთსა სჩეხენ და ასახიჩრებენ.

აბა რა უნდა ითქვას ამ ნაირ ქალებზე, რა იმედი უნდა გვქონდეს იმათი, რა შვილები უნდა აღზარდონ, რა გზაზე უნდა დააყენონ მოზარდი თაობა?

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ვაჭრობა საზოგადოდ და მეტადრე სოფლის ნაწარმოებისა ძალიან ცუდს ფეხზეა დაყენებული ტფილისში. ჩვენმა ქალაქმა ვერ იქნა, ვერ მოახერხა ეს აუცილებელი საქმე და ვერ დააყენა სასურველ დონეზე. ამ ვაჭრობას ყველაზე უარესად სულს უხუთავენ ჩარჩები, რომელნიც კრიჭაში უდგანან სოფლელებს და ფეხს არსაით ადგმევინებენ. სხვათა შორის შევიწროებულია თავისუფალი ყიდვა და გაყიდვა ცხვრისა და ძროხისა. ეს ვაჭრობა სწარმოებს უმთავრესად რიყეზე. ჩამოვა თუ არა სოფლელი კაცი, მაშინათვე აეკვიატება ჩარჩი და ყბედობით გულს ულონებს, მანამ არ დაითანხმებს და თითქმის მუქთად არ გაირიგებს საქონელს. გამსყიდავი დაჰკრავს ხელი-ხელს, აძლევს თავის სავაჭროს და ჰფიქრობს—ჯანი გავარდეს, წაიყვანე, ხოლო მამეცი ფულიო, მაგრამ სად არის. ჩარჩი აძლევს ერთს ან ორ მანეთს ბეს, მერე მიდის და იკარგება სადღაც. პირველი-კი ელოდება ზოგჯერ დილიდამ საღამომდე, თანაც აბა პირს როგორ გაიტეხავს და სხვას როგორ მიჰყიდის ერთხელ გაყიდულს საქონელს, რომელშიაც უკვე ბე მიღებული აქვს. ამ დროს ჩარჩი-კი უვლის მთელს ქალაქს, ხან ერთს აბეზრებს თავსა და ხან მეორეს, თითონ მიეფარება სადმე და მუშტარს ჰგზავნის სანახავად დაბევებულ საქონლისა. როდესაც იპოვნის კაცს, რომელიც ერთი-ორად მეტს მისცემს დაბევებულს საქონელში, მაშინ ჩარჩიც მოვა, მისცემს გარიგებულს ფულსა და იქავე, გამსყიდავის თვალ წინ ამისავე სავაჭროში იგებს ფულს.

ამ ჩარჩებისაგან რიყეზე ისეთი ალიაქოთია მუდამ დღე, ისეთი ჩხუბი, თავში-ცემა, ლანძღვა-გინება, რომ მშვიდს კაცს არ მიესვლევინება უხანჯლოთა და უიარაღოდ, და ამისთანა სისაძაგლეს დასასრული-კი არ უჩანს.

*** მუშები, რომელნიც ამ ორის დღის წინად ჩამოცვივნულან ბანკის შენობის ხარაჩოებიდგან, სამკურნალოდამ გუშინ გამოვიდნენ და მათს სიმრთელეს არაფერი შიში არა აქვს-რაო.

*** აქამდისინ ახალციხეში გასაყიდად ქართული წიგნები არსად მოიპოვებოდა, ასე რომ მსურველთ ტფილისიდამ უნდა დაებარებინათ ხოლმე. ფოსტის ხარჯისა და ხშირად უზრუნველობისა გამო ბევრნი უწიგნოდა რჩეოდნენ დარჩენას, ვიდრე დაბარებას ტფილისიდამ. მიზეზიც ეს იყო, რომ მთელს ახალციხის მაზრაში ათი წიგნი არ გაიყიდებოდა წლითი წლამდე. ეხლა-კი, როგორცა გვწერენ, ბ-ნს ალექსი სალარიძეს, ახალციხის ვაჭარს, დაუბარებია ყოველ გვარი ქართული წიგნები და ჰყიდის თავის მაღაზიაში. ეხლა მსურველნი იეფად და ადვილად იშოვნიან ქართულს წიგნებსა და უეჭველია მუშტარიც ბევრი გამოუჩნდება ბ-ნს სალარიძეს.

*** გორიდამ: ქალაქიდამ მოსული საციმბირო კინტო ბიჭები საქმეს გვიჭირებენ გორელებსა. იმ დღესაც ერთი დახლიდარი დასჭრეს. აი საქმე რაში იყო: ერთი მოქეიფე აზნაური და ქალაქელი კინტო შესულან საქეიფოდ მთვარელიძის სამიკიტნოში; ერთი თუნგი ღვინო მიუგდიათ ორთავესა. აზნაურს დანახარჯი მიუცია; კინტო აჰხირებია დახლიდარს, მაგდენი არ გერგებაო. შეჰყოლიან ლაპარაკს, კინტო აზნაურს წასწვდომია ხანჯალზე, ამოუძვრია, წვერ-და-წვერ უსროლმჩა და ორთავე ხელებში დაუჭრია დახლიდარი. კინტო დაიჭირეს და გამოძიება სწარმოებს.

*** იქიდამვე: გორის ბაზარში და ყანთარზე შემდეგ ფასებად იყიდება სხვა-და-სხვა სალეველი და სანოვაგე: პური ფუთი 80 კ. ხორბლად ფქვილი 90 კ. ქერი 45 კ. ფ. სიმინდის ნირი ჯერ არ გადაჭრილა, რადგანაც ახალი მოსავალი ჯერედ არ აუღიათ. ხახვი თათრულის თესლისა 35 კ. ფუთი. კართოფილი 15—20 კ. ქართული ხახვი ძვირად ფასობს ხოლმე, ხანდისხან თითქმის 60—80 კაპ. ავა ხოლმე ფუთი. თუმცა თათრულზე ბევრად ძვირია, მაგრამ იმას უფრო ეტანებიან, რადგანაც ერთობ თხელი ფურცელი და აფსკა აქვს და ამის გამო ერთობ მალე იხარშება და გემრიელიც არის.

*** დედოფლის-წყაროდგან: მუდმივმა ჩხუბმა შირაქის მინდვრებში მწყემსებსა და გუთნის მეხრეთა შორის უბრალოდ არ ჩაიარა და ამ თთვის 18-ს იმსხვერპლა 2 ვაჟკაცი. აი საქმე როგორ ყოფილა: ნაშუა-ღამევს ერთს მწყემსს ძროხა გაეშალა იჯარით აღებულს ყორუღში და შეენიშნა, რომ ყორუღის შუა ადგილას სძოვს რამდენიმე გუთნის საქონელი. მწყემსმა მოინდომა საქონლის წართმევა, მაგრამ მეხრეებმა არ დაანებეს. შეტაკების დროს მწყემსმა ხანჯალი დასცა მუცელში ერთს მაჩხანელს გლეხს და მეორეც თავში დასჭრა. ერთმა დაჭრილთაგანმა იქვე განუტევა სული, მეორე-კი, იმედია, მორჩება. შეშინებული მკვლელი სადღაც გადავარდა და არ იციან, სად იმყოფება.

*** თელავი: 19 სექტემბერს ერთმა ქალმა გამართა ლატარია და დაიპატიჟა აქაური მაღალი საზოგადოება. გაიმართა ცეკვა და თამაშობა. ერთმა ვაჟმა, X—მა, გამოიწვია ქალი. იცეკვავეს კარგა ხანს, დაუკრეს ერთმანერთს თავი და გაჰშორდნენ. მერე იმავ X-მა დაუკრა თავი მეორე ქალს. უკანასკნელი არც ადგა და ყურიც არ ათხოვა. X—მა მეორედ დაუკრა თავი. ამითიც არა გამოვიდა-რა, ქალმა თითქო არც-კი შენიშნაო. მესამედაც აგეთივე უღუგეშო უყურადღებობა მოჰყვა მის თავის დაკვრას. აქ-კი გული მოუვიდა X—სა, გაიძრო ხანჯალი და აჰკუწა დოლი. სხვა თავადიშვილმაც გაიძრო ხანჯალი X—ის ჰკუაზე მოსაყვანად, მაგრამ აქ ხალხმა დააშოშმინა. ქალებს ისე აუკანკალდათ გული, ისე შეშინდნენ, რომ ცეკვის გაგრძელება შეუძლებელი-და გახდა და საზოგადოება დაიშალა.

*** ბათუმი: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" საზრუნველო ბათუმის სკოლისა ძალიან დიდს მეცადინეობაშია, რომ ბათუმის სკოლა რიგიანს გზაზე დააყენოს. სასკოლო აევჯი, რომელიც დიდის ხნის ხმარებით სულ დაძველდა, საზრუნველომ შეაკეთა. სკოლის წვრილმანი ხარჯისა და შეშის ფული უკვე შეკრებილია და აპირობენ ამ დღეებში ხელის მოწერით, ქართველთა და მაჰმადიან ქართველთა შორის, შეაგროვონ საჭირო ფული მაჰმადის რჯულის მასწავლებლისათვის, რომელსაც უპირობენ მოიწვიონ ოქტომბრის პირველიდგან.

*** იქიდამვე: ამ დღეებში ორი მკვლელობა მოხდა ბათუმში. ვიღაც ავაზაკებმა გაიტყუილეს ღამე თამარის ციხეზე ერთი ბათუმელი მეეტლე, იქ თურმე გაცარცვეს საბრალო კაცი და მერე მოჰკლეს. მოჰკლეს კიდევ ბათუმის ახლო ერთი ვიღაც მილიციელი.

*** გაზ. „Новое Время"-ს მე-150 №-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ქართველებსა და სომხების შესახებ. იქ მოყვანილია გარდაცვალებულის კატკოვის შეხედულობა ხსენებულ ერთა მამულის სიყვარულზედ.

*** 21 სექტემბერს ტფილისის მოქალაქე მიხეილ სმირნოვი შექეიფიანებული დაცურავდა ნავით მტკვარში, გაუფრთხილებლობის გამო ჩავარდა წყალში და დაირჩო. გვამი ვერ იპოვნეს.

*** 22 სექტემბერს ჯიბიდამ ამოაცალეს 460 მანათი აზნაურს კარაპეტ ლალაევს, რომელიც იდგა სასტუმრო „კავკაზში". არავინ იცის ქურდის ვინაობა.

*** 22 სექტემბერსავე დაიჭირეს მარქაროვის სახლში შეშლილი გლეხი ნერსესოვი, რომელსაც ხელში ჰქონდა ორი წყვილი ჩულქი. ეს ჩულქები მოეპარა მარქაროვის მდგმურისათვის, საფრანგეთის ქვეშევრდომის ერნესტ ტერრისათვის.

## კიდევ მღ. ლ. ფილიშვილის მკვლელობის გამო.

ჩვენი საკუთარი კორრესპონდენტი გვწერს გორიდამ: ავაზაკები თურმე დიდი ხანია დასდევდნენ მოსაკლავად მამა დევანსა; ორჯელ წინად მისულან, მაგრამ ცოლ-შვილით სოფ. ქარელში ყოფილა სიმამრთან. ავაზაკებს ორჯელვე მ. დ—ას ბიჭი გაუხმიათ და რაღაც ულაპარაკნიათ იმასთან—ასრე აჩვენა მეორე ბიჭმა. სახლში ორი მოსამსახურე ჰყოლია: ერთი ოსი ქოქოშვილი და მეორე ქართველი; ავაზაკები თურმე ოსს იხმობდნენ. მესამედ საბრალო მსხვერპლს სახლში მოასწრეს. ბიჭები აივანზე წოლილან. ჩვეულებისამებრ მოსამსახურე ოსი გაუხმიათ; ბიჭი ძირს ჩასულა და კარგა ხანს ულაპარაკნიათ ოსურად და ისე ხმა მაღლა, რომ სახლში მ. დევანის მეუღლეს გამოჰღვიძებია. ქმარი-კი არ გაუღვიძებია, მაგრამ მაღალ ლაპარაკს იმისთვისაც გაუფრთხია ძილი; თუმცა ცოლს უშლია, მაგრამ სიცოცხლეს არ დაუშლია და უთქვამს: გაი თუ ბოროტ-განმზრახველნი იყვნენ, სახლში შემოგვეცვივნენ და სულ ერთიანად ამოგვხოცონო, ისევ მე გავალო. ამდგარა და გამოსულა იმ ოთახიდამ, სადაც ცოლ-შვილი ჰყოლია, მეორე ოთახში და ამ ოთახის კარ და გასულა (პირველ ოთახის კარი არ გაუღო თურმე, რადგანაც ცოლ-შვილს გაუფრთხილდა). ძირს აივანთან ერთი კაცი მდგარა, იმისთვის ლაპარაკი დაუწყვია; მეორე კაცი თოფით მჯდარა სამზარეულოს ბანზე, რომელიც აივანს გადასცქეროდა; ეს მეორე კაცი ჩრდილოეთის მხრივ ზედიდამ ამოსულა იმ ფარულ კიბეზე, რომლის არსებობა მხოლოდ შინაურებმა თუ იციან, და ვერც წარმოიდგენს კაცი, თუ იმ კიბეს უცხო ვინმე მიაგნებდა. როცა მღვდელი გადაჰყუდებია აივანს და ქვემოთას-

---

თქვენმა მზემ, ყველას! და გორისა-კი რა მოგახსენო. არა, რაში ეტყობა თაობა: მტვერი და ნაგავი ქუჩებში მუხლამდე, სიმყრალე ზეცამდე, ცარცვა-გლეჯა ყელამდე! რაც გვახსოვს, წრეულს ერთხელ დაგავეს ქუჩები; ბაზარში დამპალ-დუმპალი ხილი, თევზი ბლომად, რამდენიც გნებავთ, ოღონდ-კი მოიკითხეთ. ახალი თევზი იქნამდის უყრიათ წყალში, მინამ არ განიხრწნება, მაშინ მოხარშვენ და „გააპრადალავებენ"... კიდევ კარგი, რომ წელს კუჭები მაგრა შეხვდნენ, თორემ ხოლერა არ აგვცდებოდა.

ამ ჩარჩებმა და ქალაქელმა კინტო-ბიჭებმა ხომ გაგვიჭირვეს საქმე! მოგეხსენებათ, რომ ყანთარზე შუა-დღემდის ქალაქის ხალხი, მცხოვრებნი ყიდულობენ სახლისათვის ყოველსავე სანოვაგეს, შუა-დღის შემდეგ—ალაფები, ბაყლები და სხვა-და-სხვა ვაჭრები. ნწ! თქვენს გულზე მიწა არ მენახოს! დილით შუა-დღემდის ალაფები ალაფობენ, ბაყლები ბაყლობენ და ჩარჩები ითაფულებენ მთელს სასწორს და შუა-დღის უკან საწყალი გორის მკვიდრნი ნაფაშვარზე მიდიან და ხელ-ცარიელი ბრუნდებიან. გორს რომ თავი ჰქონდეს, ასეთი უწესოება შესაძლებელია? მაგრამ სად არის თავი, „ჩამბილურსან", თათრისა არ იყოს.

ყასბებს ნათქვამი და ნაბძანები აქვთ, რომ იმ საყასბოში დახოცონ საქონელი, რომელიც საკუთრივ ამ საქმისათვის არის აშენებული ქალაქს გარედ. მაგრამ ვინ უგდებს ყურს, ერთს რომ საყასბოში დაჰკლენ, ორს და სამს შიგ გორში და სისხლს და ათას სიბილწეს და სიფინთეს წყალს მისცემენ, რომელსაც დილით მთელი გორი ავსებს და სასმელად მიაქვს. ბარაქალა, მე და ჩემმა ღმერთმა, გორელების კუჭს, ბარაქალა! რა საჭიროა, ძმავ, მშიერის მგლის კუჭი ვერ მოინელებდა ამ მოწამლულს წყალსა!

უნებლიედ იკითხავთ: ესთქვათ, გამგეობას თავი არა აქვს, რომ ქალაქს უპატრონოსო, ეს წესის დამცველნი რიღას მაქნისნი არიან, რას აკეთებენო? ჰმ! წესის დამცველნი!? ჩააცივდით წესის დამცველთ; ვერ გაიგეთ იმ დღეს „ივერიაში" რა ეწერა გორის ამ ბატონებზე. ერთი ცხენვალს გაუგზავნიათ დროებითა, ერთი შინა ზის—მახლას, მაშ რა ქნას ვა! —ამდენი უსიამოვნებით თავი მოაბეზრეს, ადგა იმანაც და ჯოხი მიაგდო. დარჩა ერთი; იმასაც ხან ალთას უზამენ თავს და ხან ბალთასა. ახლა ეს ქურდობა ვარო, ეს კაცის კვლა და დაჩეხვაო—სულ წესის დამცველია და ქალაქის დარდი ვილასა აქვს. ორი კაცი სულ აიკლებს აქაურობას, თუ მოინდომეს.

**

გამგეობა და მოწესენი რომ ასე ყუყს სხედან, დანარჩენი ხალხი რაღას აკეთებს? რას აკეთებს ესრედ წოდებული „ინტელიგენცია"? ჰმ! „ინტელიგენცია" თუ ქორებს გადურჩა და განწმედილ-განსპეტაკებული გამოვიდა, აღარა უშავს-რა, იქნება ლონილი დაიწყოს. საზოგადოდ ლაპარაკი და ფახი-ფუხი ბევრია ყველგან და საქმე კი ცოტა და ესეც იციან, რომ

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უდევს დიდი ზღვარი.

მაგრამ თუ ერთი ათჯერ არ მიიხედ-მოიხედა, საქმეს ხელს ვერ მოჰკიდებს. რაღაც აშინებს, რაღაც აფთხობს და გულს უფუქებს. ზოგი მგლისკენა, ზოგი თხისკენაო, რა ჰქნას ამ „ინტელიგენციამაც". ათასი დავიდარაბა ამის თავს არის, გული გაუტყდა და თავი ველარ გაართვა; რაცკი შეუძლიან, ეწევა ჭაპანს. ან-კი რა შეიძლება, რომ კაცმა გორში გააკეთოს? როგორც გაიმართებიან წელში და უნდა გააკეთონ რამე, გატყვრება ერთი ვეებერთელა „ზუზუცუნასავით" ჩასუქებული ჭორი, რომელიც ისეა დარგვალებული, რომ ვერც თავს უპოვი და ვერც ბოლოს. ატყდება ერთი მითქმა-მოთქმა, ყაყანი, საქმე ხელიდამ გაუფრინდებათ და ხელში ცრუ-ჭორის გუდა რჩებათ. მეორეც ესა, გორში ორის ჯურის ხალხი სცხოვრობს. რაღაც უხეირობა დაემართათ და ერთმანერთს მამლებივით წაეჭიდნენ, ერთი დაიწყობს საქმეს, მეორე მოუცრის; ამბობენ, რომ ეს სულ ხუცესების ამბავიაო. ცოტა რომ იბანქოვონ, ბევრით ემჯობინება ამისთანა მტრობა-შურის ჩამოგდებასაო, თორემ

ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი
ძალმა ნახოს, პირი ჰკიდოს,—

ევრე მოუვათ იმათაც და მერე წავიდნენ და ირიკაონ.

**

ქართლში რაღა ამბავია? რა ამბავში არიან ქართლელები? ოჰ, ნეტავი-კი ამას არ მათქმევინებდეთ და რაც გინდათ გადამახდევინეთ. ასე „დადედლებული", ასე „გადიაცებული" არა მინახავსრა, როგორც ქართლელია დღეს.

მგლავით მძლიერით ქართლელი,
ვით ციხე-ბურჯი მაგარიო,

ამბობს პოეტი, მაგრამ მწ! ისე შენი დუშმანი იყოს „ძლიერი", როგორც დღეს ქართლელია! ისე თქვენი კეთილის-მოსურნე იყოს „ციხე-ბურჯ მაგარი", როგორც დღეს ქართლელია!! რამდენმამე წუწკმა ავაზაკმა ისეთი თავ-ზარი დასცა მთელს გორის მაზრას, რომ თავგის სორო დაუფასებელი გახდა. გლეხობა კიდევ ჰო! გასამტყუნარი არ არის, რადგანაც დრო-ჟამმა სხვა საქმისაკენ უბრუნა თვალიცა და გულიცა: იგი მიწას დაჰბღუის, მშვიდობიანს და წყნარს ცხოვრებას ატარებს, არავისთან დავი არა აქვს, თუ არავინ წაეკიდება; თოფ-იარაღი ამის გამო დაივიწყა, განსაკუთრებით ვაკელმა ქართლელმა. მაგრამ რა ღმერთი გაუწყრათ ჩვენს თავად-აზნაურობას, რომ თავგის სოროები დააძვირეს; ტრადიციის ძალით მაინც თავი გამოიდონ, აბრუს ნუ გაიტეხენ და ავაზაკების ბატონობას ბოლო მოუღონ. შენ არ მომიკვდე! ამათ უარესი შიშის ზარი დაეცათ და იარაღიანი ხალხი-კი დღეს ესენი არიან. აზნაურს ვერა ნახავთ, რომ არ ჩამოეკონკილებინოს ხანჯალი, რევოლვერი, ხმალი; ძალიან

თვას ლაპარაკი დაუწყვია ვინაობაზე, აი მაშინ კიბიდამ ამოსულს (ბაღის მხრივ) უკანიდამ მარცხენა ბეჭში დაუხლია თოფი და ტყვია მკერდს ზემოდ გასულა, ყურთან აუვლია და გაუფხაჭნია. მკვლელებმა თავი არ დაანებეს მსხვერპლსა, აივანთან მდგარი ასულა და ფანჯრიდამ შეუხედნია, რომ დარწმუნებულიყო, მოკვდა თუ არა მღვდელიო. მაშინ იოსხ—მოსამსახურეს ოსურს ენაზე უთქვამს, წადით, კარგა, ხომ მოჰკლითო. ავაზაკი შეეკითხა თურმე: „ამარდი?" (მოკვდაო?) როცა დარწმუნდნენ, რომ მოკვდაო, მხოლოდ მაშინ წავიდნენ, თორემ კიდევ უპირებდნენ სროლასა, როგორც ეტყობა. მოსულნი ყოფილან, იმიტომ-რომ უთუოდ მოეკლათ.

გამომძიებელმა მოსამსახურე ოსი დაიპატიმრა, მაგრამ მეორე დღესვე გაანთავისუფლა. ჩვენ გვგონია, რომ გამომძიება ძალიან აჩქარდა, რომ გაანთავისუფლა: აქ ცხადია, რომ ბიჭი უნდა იცნობდეს მკვლელებსა. მოკლულის ცოლმაც უჩვენა ისინი, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ, რომელნიც ემტერებოდნენ და მოკვლის მუქარასაც უთვლიდნენ. არ ვიცით-კი, რამდენად მართალია და ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ გამომძიება კვალში არ ჩაუდგა და გულ ცივად მოექცა ამ საქმესაო. მაშინვე რომ კვალში ჩასდგომოდნენ, ბიჭი არ გაეშვათ, მკვლელებს აღმოაჩენდნენ, უფრო იმიტომ-რომ ოსი კაცი საიდუმლოს დიდხანს ვერ შეინახავს. არ იქნება, რომ არავის გაუტყდეს და გაუტყდება თუ არა, მაშინვე მთხრობელი გავა. მეორეც ესა, ფილიპაშვილების გვარი ოსებში გამოჩინებული და ნაქები გვარია, ბევრი მოკეთე და მოსათრე ჰყავს და ძნელად გვგონია, რომ მკვლელნი დაიმალნენ. ეს მკვლელობა უბრალო მკვლელობა არ არის, აქ ცოტა რამ სხვა მიზეზიც არის და აი სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო მკვლელების პოვნა.

განსვენებულის მამას უთხოვნია, რომ გამომძიებლად იმის შვილის მკვლელობისა დანიშნონ გორის სასამართლოს გამომძიებელი ბ-ნი დ. ტერ-სტეფანოვი და პოლიციის მხრივ დანიშნონ ცხინვალში პოლიციის ბოქაულად ნამყოფი ბ-ნი დ. დეკანოზიშვილი.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ვარძია, 15 ენკენისთვეს. ამ დღეებში მე მომიხდა ახალ-ქალაქის მაზრაში ყოფნა და ვარძიის მონასტერიც ვნახე.

ვარძიის მონასტერი ერთს საუკეთესო და თვალ საჩინო ნაშთს შეადგენს XI—XII საუკუნის დიდებისას. ამ მონასტერში დაცულია სურათები მეფის გიორგისა და დიდებულის თამარ მეფისა. მას შემდეგ რაც ეს მხარე თათრებს ჩაუვარდათ ხელში (1604 წელს), ვარძიის ეკკლესიები და 700 მეტი სენაკები გახდნენ ყოველ გვარ ავაზაკთ, მწყემსთა და ჯოგთა თავ-შესაფარად; ხოლო 1829 წლის შემდეგ მონასტერსაც ცვლილება დაეტყო. ამ ოც-და-ათის წლის წინად (1857 წელს) საქართველოს ეგზარხოსად ყოფილმან, აწ პეტერბურგის მიტროპოლიტმან, ყოვლად მაღალ უსამღვდელოესმა ისიდორემ, განკარგულება მოახდინა, ვარძიაში ისევ ძველებურად დაწესდა ბერობა და იმ დღიდამ ყოველ წელს ყველა ტომის ხალხი მოდის ვარძიაში სალოცავად.

ამ ჟამად ვარძიაში ფრიად შესამჩნევი ცვლილება მოუხდენია ვარძიის გამგებელს მღვდელ-მონაზონს კალისტრატეს, გვარად ჩიჩუას. ამ მხარეში და განსაკუთრებით ვარძიაში ურწყავად ბალახიც ვერა ხარობს; ამიტომ კალისტრატეს მდინარე მტკვარზე აუშენებია ვეებერთელა ჩარხი, რომლის სიმაღლე 4 საჟენია. ამ ჩარხს 64 კოლოფი აქვს ირგლივ გაკეთებული, რომლებიდამ წყალი გადმოდის და მიექანება მრავალ ღარებით მაღალ გორაკზე გამართულს არხში. ამ წყლით ირწყვება ოთხი დღიური მიწა, რომლის მიდამოს მონასტერი არწივისავით გადმოსცქერის. ჩარხი ჩინებულად და მაგრად არის გაკეთებული; ამას ის ამტკიცებს, რომ ამ წლის წყალ-დიდობამ ჩარხს ვერა ავნო-რა და ხალხი ამ გარემოებას მიაწერს ვარძიის „ზიარათს".

როგორც კერძოდ გავიგეთ, ამავე მღვდელ-მონაზონს უთხოვნია, სადაც ჯერ არს, რომ მონასტერს მიეცეს მახლობლად სახაზინო მიწა, რათა მონასტერს ჰქონდეს შესაფერი შემოსავალი და თან-და-თან ეს ყოვლისფრით შესამჩნევი ნაშთი ჩვენის წარსულისა მკვიდრს ნიადაგზე დადგეს. მიწების მიცემა უკვე გადაუწყვეტია სახელმწიფო ქონებათა მთავრობას. ამ ხანად ვარძიის მონასტერში შტატი არ არის, მაგრამ იმედია, რომ შტატიც მალე დაარსდება. ამავე კალისტრატეს თაოსნობით ჩვენს ახალგაზრდა მხატვარს გიგო გაბაშვილს უკისრნია ყოვლად წმინდა ღვთის-მშობლის სურათის განახლება.

მგზავრი

# უცხოეთი

ბოლგარია. სოფიიდამ სწერენ დეპეშით გაზ. „Новости"-ს, რომ ბოლგარიის მთავრობამ ვერ ასესხა ფული საზღვარ-გარედაო.

— იმ ნოტაში, რომელიც რუსეთისათვის უნდა გაეგზავნათ ამას წინად, სხვათა შორის ესეცა ყოფილიყო მოხსენებული: ბოლგარია რომ უფრო მალე დაჰყვეს დიდთა სახელმწიფოთა ნებასა, საჭიროა საერთა-შორისო ფლოტმა ალყა შემოარტყას ბოლგარიის პორტებსაო. ეს მუხლი ნოტასი თვით ხონთქარს ამოუშლია თავის ხელით.

— ამბობენ, ვითომ ამის თაობაზე, რომ პორტას კომისარის გაგზავნა უნდა ბოლგარიაში, სტამბულელს ეთქვას: ბოლგარიის საქმე ძრიელ შორს წავიდა და ოსმალეთის კომისრები ვეღარას გააწყობენო. პრინც ფერდინანდის მთავრობამ გადასწყვიტა, რომ აღარავითარი წინააღდეგობა არ მიიღოს. თუ ძალას დაგვატანენ, ჩვენც იარაღს მოვკიდებთ ხელსა და ისე დავიწყებთ წინააღმდეგობასაო.

— პრინცი ფერდინანდი ამას წინად ერთის კრების გათავების შემდეგ შეიარა სტამბულოვის სახლში და დიდ ხანს დარჩა იქა სტამბოლოვთან სათათბიროდაო.

— კალნოკისა და ბისმარკის მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყვასო, ამბობს სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზ. „Times"-ისა. კალნოკის უთქვამს ბისმარკისათვის: მე თანახმა არა ვარ, რომ ბოლგარიას ძალა დაეტანოს და მისი მთავარი ფერდინანდი განდევნილ იქმნას თავის სამთავროდამაო.

— რუსეთის დიდს თავაზას უწყებს სტამბოლში. ეს გარემოება ძალიან თურმე აფიქრებს ბოლგარიის მმართველთ. ელჩნი იტალიისა, ავსტრიისა და ინგლისისა ვერას აწყობენ ოსმალეთის მთავრობასთანაო.

ავსტრია-ვენგრია. ავსტრია-ვენგრიის ოფიციოზური მწერლობა ურჩევს ოსმალეთს, მორიდებით იყავი ბოლგარიის საქმეში და, რაც შეიძლება, უფრო ძრიელ გააჭიანურე ეგ საქმეო. შენთვის ეს უფრო სარგებლო იქნებაო.

— სეფე-სიტყვა თითქმის ყველა დასებს მოეწონათ, მხოლოდ რადიკალებმა დაჰქნეს თავები და ისე მოისმინეს, რომ კრინტი არ დაუძრავთო.

— ვენგრიის ბიუჯეტი ისე იყო გამოანგარიშებული, რომ მხოლოდ 33 მილლიონი ფრანკი გასავალი უნდა ყოფილიყო მეტი შემოსავალზედ. აღმოჩნდა, რომ გასავალმა გადააჭარბა შემოსავალს 49 მილლიონის ფრანკითა.

— ვენიდამ სწერენ «Journal des Débats»: იმპერატორის ბრძანებით უნდა გამლიერდეს ის ჯარები, რომელიც დღეს ბოსნიაში სდგანანო.

იტალია. იტალიის გაზეთი „Diritto" გვაუწყებს: საფრანგეთის მთავრობამ შემოუთვალა იტალიასა, რომ თუ ავსტრიასა და გერმანიას მეგობრობას არ გაუწყვეტ, ჩვენ ამის სამაგიეროდ მარს მოგცემთ და ტრიპოლისს დაგაპყრობინებთო. იტალიას გადაწყვეტით არც ჰო უთქვამს ამაზე და არც არა. მხოლოდ ეს მიუწერია, რომ თუ ომი მოგივიდა გერმანიასთან, ჩვენ მაგ ომში არც ავდგებით და არც გვერდად არ ჩავერევითო.

გერმანია. გაზ. „Post"-ი სწერს, რომ ხელმწიფის ბრძანებით პოზნანის ყველა საერო სკოლებში აღკრძალულ იქმნა პოლშურს ენაზე საგნების სწავლება 1-ლ ოქტომბრიდამაო.

— ერთს მწერალს, სახელად პერლს, 100 მარკა ჯარიმა გადაუწყვიტა სასამართლომ, იმიტომ-რომ რეიხსტაგის არჩევნების დროს მან შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა თურმე: გერმანიამ გაძარცვა საფრანგეთი და ისე წაართვა ელზას-ლოტარინგიაო.

ინგლისი. ინგლისი აპირობს, რომ კონფერენცია მოიწვიოს დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთა თანადასწრებით შაქრის წარმოების თაობაზედ. ინგლისს ძრიელა სწყინს თურმე, რომ ზოგიერთნი დიდნი სახელმწიფონი ჯილდოს აძლევენ იმ შაქრის მწარმოებელთ, რომელთაც შაქარი საზღვარ-გარედ გააქვთ.

— როცა სასამართლომ ო'ბრიენის საქმე თითქმის გაინიხილა და უკანასკნელის სიტყვის თქმის ნება მისცა ბრალდებულს, ო'ბრიენმა სთქვა შემდეგი: მე დამშვიდებით ველი სასამართლოს განაჩენსა. მოხარული ვარ, რომ ცოტაოდნად მაინც დავიტანჯები იმ ერისათვის, რომელმაც დაამტკიცა, რომ იმის გულისათვის ღირს კაცი იტანჯებოდეს და მოკვდეს კიდეცა. თავი მომწონს, რომ მეც იმ მრავალ მამულიშვილთა გვარს გავყვები, რომელნიც ციხეში იტანჯებოდნენ ირლანდიისათვის. ვინ იცის, იქნება მე და ჩემს მეგობრებს შემდეგ გათავდეს კიდეც ესეთი წამება ირლანდიის მოყვარეთა. იქნება იმ დრომდე, ვიდრე მოაღწევს ჟამი ჩემის განთავისუფლებისა, ინგლისის ერმა კიდეც გააუქმოს ის განაჩენი, რომელსაც დღეს დაადგენთ და საქვეყნოდ გამოაცხადოს, რომ დამნაშავე არ არის ისა, ვინც ხალხს ეუბნებოდა, არავის დაუთმოთ თქვენი სახლ-კარი და თქვენი თავისუფლებაო.

# წვრილი ამბები

— იმის გამო, რომ ხმა გავრცელდა პარიჟში, ვითომ პრანცინის კანი მოუპარავთ და ამ კანისას ხელთათმანებსა და ქისებს აკეთებენო, პარიჟის პოლიციის

---

ხშირია, რომ ამ ხანჯლით ზოგი მამა შვილის სისხლში ისვრის ხელსა, ძმა ძმას არ ინდობს და ნათესავი ნათესავსა; თავის ძმათა სისხლში გასვრილის ხელით, სისხლში ამოვლებულის ხანჯლით დადის ხალხში, მაღლა ტრაბახობს თავის ვაჟკაცობას და შემდეგ ციმბირში მიდის. ამ ზოგიერთების წყალობით დანარჩენებსაც ჩირქი ეცხობათ და „ბარბაროსებს" ეძახიან. რადა, რისთვის ისვრის ძმა ძმის სისხლში ხელსა? რადა და რისთვის ავსებს ციმბირს ჩვენი თავად-აზნაურობა? წვრილმანის, დაკნინებულის თავ-მოყვარეობისა და მანყულის ღირებულის საქმისათვის სჩადის ამასა. დღეს-კი, როდესაც ორსამს წუწკს ავაზაკს ფეხ-ქვეშ ამოუდევია მთელი ქართლი, თავად-აზნაურობა, ჩვენდა შესარცხვენად, სახლებში იმალება და... ოჰ, ღმერთო! წარმოთქმაც-კი მეძნელება... ვინ იცის, იქნება საგძალსაც-კი აწოდებს, ოღონდ მე ნურას დამიშავებთ და ჩემს ძმას, ნათესავს, მეგობარს თუნდა სახლი თავზე დააქციეთო. ასე დალაჩრდა ჩვენი ხალხი!! იქნება თავად-აზნაურობა კიდეც გამიწყრეს, მაგრამ მე ისე ვლაპარაკობ, როგორც მათი მოყვარე, რადგანაც

პირ-ფერობა, უკან ძრახვა,
არა თქმულა საქმისაგო;
სჯობს ტკბილით ქვე-ყოფნისა,
ზე სიმართლით ავიმართო.

**

იქამდის შეშინდნენ, რომ სასოწარკვეთილებამდის მიაღწიეს. ცხინვალელები თავის ფხაკუნმა ხომ ყალხზე დააყენა. „ძველს სოფელსაც", რუისად წოდებულს, მროველების სატახტო ადგილს, იმ რუისსა, სადაც გმირთა-გმირი დავით აღმაშენებელი გაიზარდა, სადაც მის გულსა და სულში იხარა აზრმა საქართველოს ხელ-ახლად აღშენებისამ,—იცით რა მოუვიდა? აი, აი, აი! სირცხვილით უნდა სწითლდებოდნენ რუისელები, მაგრამ წითელს რაღა გაწითლება ეჭირვება. აი საქმე რაში გახლავთ:

ერთს საღამოს გორიდამ წავიდნენ სანადიროდ ორი ძმა კაცი რუისისაკენ. ერთი მათგანი იყო ჩვენგან ცნობილი ახალგაზრდა მხატვარი ბ-ნი გოლოვენია. საღამო ჟამზე შეუვლიათ რუისში მასწავლებელთან დასაბინავებლად. მოუკრავთ თვალი სოფლის დედა-კაცებს თოფიანის კაცებისათვის და მაშინვე ბუკ-ნაღარა დაუკრავთ სოფელში, რომ მასწავლებელს ავაზაკები დაეცნენო. ვინ კეტით გარბის ეკკლესიის გალავანისაკენ, სადაც სკოლაა, ვინ ბარით, ვინ ქანგიანის სიათათი. ასე გასინჯეთ, სულიერი მამაც-კი გამოვარდნილა თოფითა. შემოერტყნენ გარს სკოლის სახლს; ყაყანზე და მუქარის ძახილზე გამოვა ბ-ნი გ—ა გარედ. ბინდ-ბუნდია. ხალხი თავ-დახხას უპირებს,—გაოცებული მონადირე პირ-დაღებული შესცქერის.

— რა ამბავია, ძმაო, ვისთვის და რისთვის შეყრილხართ? ვის ემუქრებით?

— აქ ავაზაკები მოსულან, უნდა ან ჩვენ ვიყვენით და ან ისინიო, ამბობს თოფ-გაღერებული რუისელი.

— ჩვენ აქ ავაზაკები არ გვინახავს; მე და ჩემი ძმა სანადიროდ ვიყავით, დაგვიღამდა და ამ ჩემს მეგობართან მოვედით, უპასუხა მხატვარმა-მონადირემ.

— ჩვენ მასწავლებელთან მობრძანდით? იკითხა ხალხმა.

— ჰო, რა იყო, რას გეოცათ?

— ჰაი, ჰაი; კინაღამ უცოდველის ადამიანის სისხლი არ დავიდეთ. მე და ჩემმა ღმერთმა, რო დედაკაცის აყოლას ეშმაკის აყოლა სჯობიან. რას არ გამოატყვრებენ, ბაბაყულები!? ე რა სირცხვილი გვაჭამეს, შენი ჭირიმე. ნურას უკაცრავად, უთხრეს ავაზაკად მოჩვენებულს და გულ-დაშოშმინებულნი გაემგზავრნენ სახლისაკენ.

სწორედ ამ გვარის ხალხის მოდედლებით, გადიაცებით თავს გაეიდნენ ზოგიერთნი თავზედ ხელ-აღებულნი და ავაზაკობენ, არბევენ, შიშის ზარსა სცემენ. უნდა კაცმა სწორე სთქვას, რომ ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება გორის მაზრელის ქართლელისა, მოგვაგონებს იმ საშინელს დროს, როდესაც ქართლ-კახელნი ერთმანერთს აეშალნენ; ამ დროს გასაოცარის ხელოვნებით გვიხატავს დ. გურამიშვილი.

დიაღ! მომავალს ისტორიკოსს ჩვენის ქართლისას თამამად შეუძლიან სთქვას ეხლანდელს ქართლელებზე:

სულ წარატყუს, თუ ვინმე
შამბში მოურბნა წამლადა;
დადედლებულნი შიშთაგან
აღარ ვარგოდნენ მამადა.

**

ნურც-კი ისრე გეგონება, ჩემო მკითხველო, რომ მართლა სულ ერთიანად, მთლად გადიაცდნენ ქართლელები და მათში ფარსაგი აღარავინ არის? როგორ არა, ძალიან ბევრნი... ესე იგი, უკაცრავად, ძალიან ცოტანი გახლავან: ამოდენა მხარეში გამოჩნდა ორად ორი კაცი, რომელთაც იკისრეს ავაზაკების დევნა და ხალხის დაშოშმინება. ესენი არიან: ტარასი მგალობლიშვილი და პეტრე მესხიშვილი, ორნივე გამოცდილნი, გამობრძმედებულნი, ცეცხლსა და ნავთში გატარებულნი; პირველმა თვისი დღენი სულ ავაზაკების დევნაში გაატარა, არსად არ დამალულა, არსად არ წასულა თავის დღეში ავაზაკი, მეორე გამოჩენილია დაღესტნის ომებში. აი ამ ორმა კაცმა, გაჯავრებულებმა და გულ-მოკლულებმა ხალხის დადედლებით, მოსთხოვეს მაზრის უფროსს შეწევნა; უფროსმაც აღმოუჩინა შეწევნა და დადიან ეხლა და აშოშმინებენ ხალხსა. ტ. მგ—მა დაგვარწმუნა, რომ ასე შეშინებული, ასე გალაჩრებული ხალხი სიზმრადაც ძნელად წარმოსადგენიაო; მთელს ვაკე ქართლის სოფლებში ერთი თოფი ვერ გამოვატანინეო; ერთის სიტყვით, ქანგიანი რკინაც არავის მოეძევება სახლში; წარმოდგენაც-კი აღარავისა აქვს იარაღისაო. რასაკვირველია, ამისთანა ხალხს თავზედ ხელ-აღებული კაცი დაიბრიყვებს არა და მეტსაც უზამს.

ს. გუმცაძე

Доз. цен. Тиф. 24 сентября 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) на Гол. Проспектѣ д. Шебурова.

უფროსს, იმის ხელქვეითს და პოლიციის ინსპექტორს როსანიოლს სამსახურიდგან გასვლა გადაუწყვეტიათ და თხოვნაც მიურთმევიათ ამას თაობაზედ მთავრობისათვის.

— ლაურა ტემპს, მოხუცებულს არტისტს-ქალს ლისაბონის თეატრისას, თითქმის თეატრიდგან გამოგდება დაუპირეს თურმე, რადგან თითონ მოხუცებული იყო, სცენაზედ ორი ახალგაზდა არტისტი-ქალი შევიდა და ესენი უფრო მშვენივრად ასრულებდნენ ლაურა ტემპის უმეტესს როლებს. ტემპიმ გადასწყვიტა, შური უნდა ვიძიოვო, ამ დღეებში მაიპატიჟა თურმე თავის მოწინააღმდეგენი საუზმეზედ და მოწამლა. მეორე დღეს ორივ ახალგაზდა არტისტი-ქალები გარდაცვლილან.

— კრეპიცის ერთს მღვდელს, იოსებ ნაცერანის, ორი ოთ-ოთხს წლის კატა ჰყვანდა თურმე, რომლებთანაც შეჩვეული იყო და ძალიანაც უყვარდა. ამას წინად მოძღვარი სხვა სამრევლოში გადიყვანეს, ასე 98 ვერსტის სიშორეზე პირველიდგან. მოძღვარმა გადასვლის დროს თან კატებიც გადაიყვანა. მაგრამ კატებს არ მოეწონათ თავისი ახალი ბინა; დაჰკრეს იქიდგან ფეხი, ორი დღე იარეს თურმე, კლდეები და ტყე-ღრენი გადაიარეს და დაბრუნდნენ ისე კრეპიცში; მივიდნენ თავიანთ ნადგომს სახლში მშივრები და დათენთილ-დაღალულები.

— ახალი ტენორი გამოჩენილა. ამ ტენორს სახელად რიკარდო ჰქვიან და მდაბიურად-კი პალიკს ეძახიან. რიკარდო ვენგრიელია და თავის სამშობლოში იმით ირჩენდა თავსა, რომ დიდგვაროთა კატებისა, ძაღლებისა და ცხენების სურათს იღებდა. ბევრი წელიწადი გაატარა ასე მუშაობაში და ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ როდისმე მომღერალი შევიქმნებიო. როცა კარგა ფული მოიგო, დაიწყო თეატრში სიარული და ერთს დღეს მიხვდა, რომ ტენორის ხმა მაქვსო. რიკარდომ თავი მიანება მაშინვე წამლებსა და ბეწვის კალამს. ამ ჟამად რიკარდო ბერლინშია და ამ დღეებში მონაწილეობა უნდა მიიღოს «ნორმაში» და სევერის როლი წარმოადგინოს. თუ ამ ახალს საქმეში ბედი არ დაეხმარა, არას ინანებს, რადგან შეუძლიან ისევ ძაღლებისა და კატების ხატვას შეუდგეს და ამით ირჩინოს თავი.

— ამერიკაში ერთი ახირებული დუელი მომხდარა. ბარრგენვილლში პოლკოვნიკს სლეფორდსა, ერთის ადგილობრივის გაზეთის რედაქტორს, და ჯონ მაკ-არდის, სიფხიზლის საზოგადოების ხელ-მძღვანელს, ჩხუბი მოსვლიათ და ხმალში გამოუთხოვნიათ ერთმანერთი. ბრძოლა ასე ჰქონიათ: ორივე მოწინააღმდეგენი შეკეტილან ცარიელს ოთახში და პირობად დაუდვიათ, რომ 42 დღე 6 საათი და 21 წუთი უნდა გავატაროთ ასე დაკეტილში მშიერ-მწყურვალიო. მოწინააღმდეგენი ერთ-ერთმანერთს არ უნდა მივუახლოვდეთ, არ უნდა მივეკარნეთო. პოლკოვნიკ სლეფორდს უთხოვნია მხოლოდ, რომ დღეში სამის ციგარის მოწევის ნება მომეციო. გაიარა თურმე 42 დღემ 6 საათმა და 21 წუთმა და პოლკოვნიკმა მისუსტებულის ხმით დაიძახა—კარები გააღეთო. როცა კარები გააღეს, ჯონ მაკ-არდი გარდაცვლილიყო და პოლკოვნიკი-კი ისეა მისუსტებული, რომ ექიმებს იმას მორჩენის იმედი არა აქვთო.

# დეპეშა

23 სექტემბერი

**პეტერბურგი.** სამოსამართლო ბოქაულს პეტერბურგის მოსამართლეთა კრებულისას პროხოროვს გადაუწყვიტეს ციმბირის შორეულს ადგილებში გაგზავნა 2,000 მანათის გაფლანგვისა, სიყალბისა და საზღვარ-გარედ გაქცევისათვის.

**ხარკოვი.** დღეს დიდის მთავრინას ეკატერინე მიხაილის ასულის და ადგილობრივ წარმომადგენელთა თანადასწრებით გაიმართა სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენა. გამოფენა გამართულია 53 შენობაში. კერძო ფარდულები 32 არის, ექსპონენტები 3,000-ზე მეტია. უფრო კარგად არის გამართული განყოფილება თესლეულობისა, ბაღეულობისა და ცხენებისა.

23 სექტემბერი

**ვლადივოსტოკი.** 20 სექტემბერს დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე დაბრუნდა ამურსა და უსურისზე მგზავრობიდგან.

**ათინა.** აგერ მესამე დღეა, რაც თითქმის მთელს საბერძნეთში მიწა იძვრის. ამ მიწის-ძვრამ დიდი ზარალი მისცა მკვიდრთ, განსაკუთრებით კორითში.

**ვენა.** კოროლმა საბერძნეთისამ გუშინ გრაფი კალნოკი ინახულა.

**პეტერბურგის ბირჟა, 22-ს სექტემბერს**

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 17 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 177½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — › | — › | 274¼ |
| — მეორისა | — › | — › | 252¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა | — › | — › | — › |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქედ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი— უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**სექტემბერი** 30 დღით არის.

**25 დღე ორშაბათი.** ღირს. ქალწ. ევფროსინესი. კათოლ. წმ. გელნელ ვლადისლავისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ.—ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა, 1768 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—4, ჩადის, 5—29. მთვარე 21 დღისაა.

**26 დღე შაბათი.** მიცვალება წმ. მოციქულ-მახარებელ იოანე ღვთის-მეტყველისა. კათოლ. ღვთის-მეტყველება ღვთის-მშობლის ჩასახვაზედ. სომეხ. წმ. გიორგი მხედართ-მთავრისა, ადოქტისა და რომანოსისა. მუსულ. მე-21 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—3, ჩადის 5—31. მთვარე 22 დღისაა.

**27 დღე კვირა.** მოწ. კალისტრატესი. სომეხ. ვარაგა სურბ-ხაჩისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა. დღე მე-4 იმამის ალი-ბინი-ჰუსსეინის გარდაცვალებისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 2—26. მთვარე 23 დღისაა.

**28 დღე ორშაბათი.** წინ.-მეტყ. ბარუქისა, კათოლიკეთა. ისპანიის მეფე წმიდა ვენცესლავისა. სომეხ. დავით დვინელისა, ევლამპისა და ევლამპიასი. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დამტკიცებულ იქმნა, რომ ტფილისში გამოიცეს სომხური სალიტერატურო გაზეთი «არარატი», 1849 წ.—ბაქოში გაიმართა საქალებო გიმნაზია, 1875 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 5—37, ჩადის 5—27. მთვარე 24 დღისაა.

**29 დღე სამშაბათი.** ღირს. კირიაკესი და მოწყალე იოვანესი. კათოლ. მიხეილ მთავარ-ანგელოზისა. სომეხ. წმ. ევსტათესი, მეუღლისა თეოფიტესა, ორთა ძეთა და სხ. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—7, ჩადის 5—25. მთვარე 25 დღისაა.

**30 დღე ოთხშაბათი.** წმ. გრიგოლ განმანათლებელისა სომეხთა და წმ. ქალწ.-მოწ. რიფსიმიან გაიანიანთი. კათოლ. წმ. აღმსარ. გერონიმესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—9, ჩადის 5—24. მთვარე 26 დღისაა.

**ოქტომბერი** 31 დღით არის

**1 დღე ხუთშაბათი.** წმ. ღვთის-მშობლის საფარველისა და წმ. მოციქ. ანანიასი. დღესასწაული უფლის კვართისა. კათ. წმ. ეპ. რემიგიასი. სომეხ. წმ. თავადთა საააკასა და ჰამაზასპისა. მუსულმ. მე-26 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დაარსდა ტფილისში სასულიერო სემინარია, 1817 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 5—22. მთვარე 27 დღისაა.

**2 დღე პარასკევი.** მოწ. კიპრიანესი, ქალწ.-მოწ, იუსტინასი, წმ. დავითისა და კონსტანტინესი. კათოლ. ღვთის-მსახურება იესო ქრისტეს ტანჯვასა და წყლულებაზედ. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—11, ჩადის 5—21. მთვარე 28 დღისაა.

**3 დღე შაბათი.** წმ. დიონოს არეოპაგელისა და ღირსის იოანე ხოზეველისა. სომეხ. წმ. 72 მოწაფეთა ქრისტესა. მუსულ. მე-28 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 5—18. მთვარე 29 დღისაა.

**4 დღე კვირა.** მოწ. იეროტეოსი. კათოლ. დღესასწაული წმ. როზარიასი, წმ. ქალწულის მარიამისა და წმ. აღმს. ფრანცისკესი. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—13, ჩადის 5—17. მთვარე 30 დღისაა.

**5 დღე ორშაბათი.** ქალწ.-მოწ. ხარიტონისა, ღირსისა გრიგოლ ხანძთელისა. კათოლ. ღვთის მსახურება ყველა ანგელოზებისა. სომეხ. წმ. ფოკასი და ერანისა. მუსულ. მე-30 რიცხვი თვის მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 5—16. დაბადება მთვარისა 1 საათსა და 39 წუთზედ.

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ცხვრის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რავი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

**კერძო განცხადებანი**

ტფილისის ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის ათ საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე, მიიღება შეწირულობა ქ. ვერნის (სემირეჩენსკის ოლქაში) მკვიდრთა სასარგებლოდ, რომელნიც დაზიანდნენ მიწის-ძვრისაგან. (3—3)

# შავი სიტყვა

თხზ. დ. მაჩხანელისა

დაბეჭდილია „ივერიის“ რედაქციის მიერ, ისყიდება:

ტფილისში—ჩარკვიანის, გრიქუროვის, ხიდეკელის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისში—ძმათა ქილაძეთა მაღაზიაში.

გორში—ს. მგალობლიშვილთან.

სიღნაღში—ძმ. შავერდოვების ჩითის მაღაზიაში.

ახალციხეში—ბ-ნ ალექსი სალარიძესთან, ძველს ქალაქში.

წიგნი ტფილისში ღირს 20 კაპ., ტფილისს გარეშე—25 კაპ.,

**ისყიდება**

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და ქუთაისში ქილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

**დასტურლამალი**

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ქილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა

ს. მგალობლიშვილისა

I მტვრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.

ქართული სადმრთო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ქილაძის წიგნის მაღაზიაში:

რამდენიმე სიტყვა

ბ-ნი ილია ქავქავაძის საპასუხოდ

„ვეფხვის-ტყაოსნის“ გამო

აკაკისა

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ორი შაური

ТИПОГРАФІЯ

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Н. И. Френкель)

Переведена на Головинскій Проспектъ, противъ Аптеки Гене, въ д. **Шабурова.** Принимаетъ всевозможныя типографскія работы на русскомъ, туземныхъ и иностранныхъ языкахъ. Исполненіе скорое и аккуратное. Цѣны умѣренныя.

Дов. цен. Тиф. 24 сентября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.